



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლომიძე შოთა აბესალომის ძე



შ. ლომიძე

ლომიძე შოთა აბესალომის ძე (5. IX. 1918, თბილისი, - 12. VII. 2003, იქვე), ინჟინერ-მშენებელი. საქართველოში დამს. მოღვაწე (1975), საქართველოში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1988), საქართველოში საინჟინრო აკად. ნამდვილი წევრი (1996), გამომგონებელი. II მსოფლიო ომის (1939-45) მონაწილე.

დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სამშ. ფაკულტეტი (1949); მუშაობდა „საქჩაის“ ტრესტში ინჟინრად, წყალტუბოს სამშენებლო სამმართველოსა (1950) და სოხუმის შუშის ქ-ნის მშენებლობაზე სამმართველოს უფროსად (1950-56). იყო სამშენებლო ტრესტ „ამიერკავკასიურგმშენის“ რკინაბეტონის კომბინატის დირექტორი (1960-70); საქართველოში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მშენებლობის დარგში (1970); საქართველოში

სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე.

ლ-მ პირველმა დანერგა საქართველოში 9-მეტრიანი ღრუტანიანი ფილების გამოყენება სართულშორისი და სხვენის გადახურვებისათვის, ასევე შეიმუშავა დიდი დიამეტრის ბეტონის (500-2500 მმ) მილების უარმატუროდ დამზადების ტექნოლოგია არანწვეიანი მილსადენებისათვის. ლ. ხელმძღვანელობდა რიგი სამკურნ.-გამაჯანსაღებელი ობიექტების მშენებლობას; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოროზიასთან ბრძოლაში: გამოიგონა და დანერგა გოგირდის ხსნარის გაცხელებულ მასაში რკინაბეტონის ნაკეთობების გაჟღენთის მეთოდი. მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები, მ. შ. ღირსების

ორდენი (1998).
